<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 22.04.2015, სარეგისტრაციო კოდი: 270000000.05.001.017705) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის:

ა) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ – „მ“ ქვეპუნქტი:

„ზ) არის საქართველოს მთავრობის წევრის წერილობითი ინიციატივის საფუძველზე გაცემული მოქმედი სპეციალური ბინადრობის ნებართვის მქონე პირი;

თ) საქართველოში ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოკლევადიან პროფესიულ საქმიანობას და საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ი) საჯარო დაწესებულების ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს სასარგებლოდ ახორციელებს საქმიანობას;

კ) შრომით საქმიანობას სრულად ადგილობრივი დამსაქმებლისთვის დისტანციურად ახორციელებს და ეს საქმიანობა მის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას არ საჭიროებს;

ლ) შრომით საქმიანობას/მომსახურების გაწევას არარეზიდენტი პირის სასარგებლოდ ახორციელებს და შრომითი საქმიანობა/მომსახურების გაწევა უკავშირდება არარეზიდენტი პირის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ საქმიანობის განხორციელებას;

მ) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ხელმძღვანელობით, მმართველობით ან აუდიტის კომიტეტში შესაბამის საქმიანობას ახორციელებს.“;

2. მე-3 მუხლის:

ა) „გ[2]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ[2]) თვითდასაქმებული უცხოელი – საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელი, რომელიც საქართველოში ახორციელებს შრომით საქმიანობას, მათ შორის, არის ვაჭრობის, მომსახურების ან სხვა ტიპის საქმიანობის განმახორციელებელი დამოუკიდებელი კონტრაქტორი ან სხვაგვარად არის ჩართული სამეწარმეო/შრომითი საქმიანობის პროცესში და ამ საქმიანობის მიზანი ფინანსური სარგებლის მიღებაა;“;

ბ) „რ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“ ქვეპუნქტი:

„ს) მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობა – უცხოელის მიერ საქართველოში შესრულებული პროფესიული საქმიანობა/მომსახურება, რომელიც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი ვადით, არ წარმოადგენს ხანგრძლივ დასაქმებას ადგილობრივ შრომის ბაზარზე და დაკავშირებულია კონკრეტულ პროექტთან, ღონისძიებასთან ან მომსახურებასთან. იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებშიც შესაძლებელი იქნება მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობის განხორციელება, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით.“.

3. 13^1 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მხოლოდ იმ უცხოელს, რომელზედაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულია შრომითი ბინადრობის ნებართვა, D1 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზა ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე სხვა სახის ბინადრობის ნებართვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ შრომითი საქმიანობის უფლებასთან ერთად (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), აქვს საქართველოში შრომითი მოწყობისა და ისეთი შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება, რომლიდანაც იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ეკონომიკურ სარგებელს.“.

4. 13^6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) არ არის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სამეწარმეო ან/და შრომითი საქმიანობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია;“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^9 მუხლი:

„მუხლი 13^9. მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობის განხორციელება

1. უცხოელს უფლება აქვს საქართველოში განახორციელოს მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობა შრომითი საქმიანობის უფლებისა და შესაბამისი ბინადრობის ნებართვის გარეშე, თუ აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება დროებითი ვიზიტის ფარგლებში, არ წარმოადგენს ხანგრძლივ დასაქმებას ადგილობრივ შრომის ბაზარზე და დაკავშირებულია კონკრეტულ მოკლევადიან პროექტთან, ღონისძიებასთან ან მომსახურებასთან.

2. უცხოელის მიერ მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა დაკავშირებულია კონკრეტულ მოკლევადიან პროექტთან, ღონისძიებასთან ან მომსახურებასთან. უცხოელის მიერ მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობების ჩამონათვალი და ხანგრძლივობა ან მოკლევადიან პროფესიულ საქმიანობად მიჩნევის კრიტერიუმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი უცხოელი არ ითვლება საქართველოში შრომით იმიგრანტად ან თვითდასაქმებულ უცხოელად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**